საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1593 2025 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტისთვის თავდაცვის ძალების რაოდენობის დასამტკიცებლად წარდგენისა და აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]" ქვეპუნქტისა და თავდაცვის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი), რომელიც 2026 წელს განისაზღვრება არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) სამხედრო მოსამსახურით. თავდაცვის ძალების რაოდენობის შეზღუდვა არ გავრცელდეს საომარი

მდგომარეობის ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს, აგრეთვე, სარეზერვო სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირების რაოდენობასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებულ დროებით შტატებზე.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე